



აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

18 სექტემბერი 2024


MOH 4 24 00986816

მოქალაქე მალინა ხუბუას

foi+request-3163-337aa1d4@askgov.ge

ქალბატონო მალინა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2024 წლის 5 სექტემბერს შემოსული თქვენი N939721 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება დემენციით დაავადებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

შშმ პირთა, ხანდაზმულთა უფლებების რეალიზების, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის მიზნით ქვეყანაში დაინერგა და განვითარება დაიწყო პერსონალური ასისტენტის მომსახურებითა და შინმყოფით უზრუნველყოფის ქვეპროგრამებმა.

პერსონალური ასისტენტით მომსახურების ქვეპროგრამის ბენეფიციარია 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირი, რომელსაც დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრირების უზრუნველსაყოფად ესაჭიროება პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებითა და სხვა საჭირო დოკუმენტაციით მიმართავს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს. დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პერსონალური ასისტენტის მომსახურების მისაღებად, მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას შეფასების პროცედურის გასავლელად, რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის საფუძველზე განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტენტის საჭიროებას. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმა/დასკვნა წარედგინება ზრუნვის სააგენტოს შესაბამისი პირის პერსონალური ასისტენტის მომსახურებაში ჩარიცხვის მიზნით. პერსონალური ასისტენტის მომსახურების ფარგლებში ბენეფიციარი უზრუნველყოფილია ასისტენტის შემდეგი ღონისძიებებით: კვებაში დახმარება, თავის მოვლა, ჩაცმაში დახმარება, საოჯახო საქმე, საყიდლებზე სიარული, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მხარდაჭერა, მუშაობისა და დასვენების დღის დაგეგმვასა ან/და სხვა აქტივობებში დახმარება, რაც არ არღვევს ასისტენტის შრომით და სხვა უფლებებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შინმოვლის ამოცანაა მოვლის საჭიროების მქონე, მწოლიარე მდგომარეობაში მყოფ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, კერძოდ, მოსარგებლეთა დამოუკიდებლობის მაქსიმალურად ხელშეწყობა ყოველდღიურ ქმედებებში მათთვის ჩვეულ საცხოვრებელ პირობებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობითა და ეთიკური ნორმების დაცვით. ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა რიგ შემთხვევებში ინსტიტუციონალიზაციის და (რე)ჰოსპიტალიზაციის პრევენცია, მოსარგებლის სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის ალბათობის შემცირება და ოჯახის მხარდაჭერა/გამძლიერება. ბენეფიციარის საჭიროებების შეფასება სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ხდება სპეციალური ინსტრუმენტის გამოყენებით, ბართელის სკალით.

ქვეპროგრამის ღონისძიებები მოიცავს ქალაქისა და სოფლის მოდელის მომსახურებებს: ქალაქის მოდელის მომსახურება უფრო კომპლექსურია და მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის (კოორდინატორი, ექიმი, ექთანი, სოციალური მუშაკი და მომვლელი, საჭიროების შემთხვევაში, ოკუპაციური თერაპევტი, საყოფაცხოვრებო და ტექნიკური ასისტენტი, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის ჩართვის შემთხვევაში სპეციალისტთა ვიზიტები გადანაწილდება საჭიროების შესაბამისად) მიერ მოსარგებლის სამედიცინო, სოციალური და საყოფაცხოვრებო-ტექნიკური საჭიროების დეტალურ შეფასებას, ინდივიდუალური გეგმის შედგენას და შინმოვლის მომსახურების მიწოდებას შინმოვლის სტანდარტის, პროგრამის და მოსარგებლის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად; ქვეპროგრამით სარგებლობისთვის სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში საბუთების წარდგენის შემდგომ პროგრამაში ჩასართავად მომსახურების მიღების მსურველი პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას შეფასების პროცედურის გასავლელად, რომელიც წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV-100/ა) და ბართელის სკალის გამოყენებით აფასებს მოსარგებლის საჭიროებებს და ანიჭებს კატეგორიას.

ამგვარად, ზემოხსენებული პროგრამებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში დემენციით დაავადებულ პირებს უფლება ეძლევათ გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით ისარგებლონ შესაბამისი პროგრამებით.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედებს „სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“, რომლის ამოცანაა დიდი ზომის პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა, ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია ალტერნატიული მომსახურების განვითარების გზით. ქვეპროგრამა თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს. ქვეპროგრამის განმახორციელებელია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, ხოლო ქვეპროგრამის დაფინანსების წესი და პირობები განისაზღვრება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილების შესაბამისად (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4780?publication=0>).

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის, ასევე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის ითვალისწინებს ქრონიკული დაავადებების (კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის და ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი 2), ასევე, პარკინსონის, ეპილეფსიის და გლაუკომის) სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად.

სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

